


Data Analysis-ის ჩართვა.

მე 2010 მიყენია ამ კომპიუტერზე და შესაბამისად ამ ვერსიისთვის მენიუში File, უნდა აირჩიოთ Options, მერე აირჩიოთ Add-Ins (მარცხენა სიაში) და ფანჯრის ბოლოს უნდა იყოს სია და ღილაკი Go... სიაში არჩეული უნდა იყოს Excel Add-ins. დააჭირეთ ღილაკს Go გამოვა ფანჯარა



ჩემთან რუსულია, ინგლისურ ვერსიაში შესაბამისად იქნება ინგლისურად, სავარაუდოდ Data Analysis.

დავალეზა 12 კორელაცია

იმის მერე რაც პირველი ნაწილი გავაკეთე ამ დავალების, გადავიტანე ახალ გვერზე და დავტოვე მხოლოდ რიცხვითი მნიშვნელობები, მივიღე ესეთი ცხრილი:


Quantity	Basic Price	Bonus_Penalty	Collection Fee	Amount Paid
340	GEO 2 381,68	GEO 0,00	GEO 37,15	GEO 2 418,83
48	GEO 336,24	(GEO 8,41)	GEO 5,25	GEO 333,08
106	GEO 742,52	(GEO 18,56)	GEO 11,58	GEO 735,54
108	GEO 756,53	(GEO 18,91)	GEO 11,80	GEO 749,42
276	GEO 1 933,36	GEO 0,00	GEO 30,16	GEO 1 963,52
272	GEO 1 905,34	(GEO 47,63)	GEO 29,72	GEO 1 887,43
317	GEO 2 220,57	GEO 0,00	GEO 34,64	GEO 2 255,21
313	GEO 2 192,55	GEO 0,00	GEO 34,20	GEO 2 226,75
200	GEO 1 400,99	GEO 0,00	GEO 21,86	GEO 1 422,84
142	GEO 994,70	(GEO 24,87)	GEO 15,52	GEO 985,35
120	GEO 840,59	(GEO 21,01)	GEO 13,11	GEO 832,69

347
138


GEO 2 430,71	(GEO 60,77)	GEO 37,92	GEO 2 407,86
GEO 966,68	(GEO 24,17)	GEO 15,08	GEO 957,59

ამ მონაცემების კორელაციის დადგენა საკმაოდ მარტივია, უნდა გავაკეთოთ შემდეგი:

მენიუში Data მოძებნეთ Data Analysis, თუ არ ჩანს ჩართეთ როგორც ეს დასაწყისშია აღწერილი, წესით იქნება ყველაზე მარჯვენა მხარეს. გააქტიურების მერე გამოჩნდება შემდეგი ფანჯარა:



მონიშნეთ Correlation და Ok.



Input Range: მიუთითეთ თქვენი ცხრილი მთლიანად სათაურების ჩათვლით

მონიშნეთ Label in first row

Output Range: მიუთითეთ ნებისმიერი ცარიელი უჯრა, სადაც ჩაიწერება რეზულტატები

	<i>Quantity</i>	<i>Basic Price</i>	<i>Bonus_Penalty</i>	<i>Collection Fee</i>	<i>Amount Paid</i>
Quantity	1				
Basic Price	1	1			
Bonus_Penalty	0,032313645	0,032313645	1		
Collection Fee	1	1	-0,032313645	1	
Amount Paid	0,999661061	0,999661061	-0,006282408	0,999661061	1

მიღებულ ცხრილში გადაკვეთებზე არის ამ ორი მონაცემის კორელაციის კოეფიციენტი, მაგალითად Collection Fee და Amount Paid არის თითქმის ერთი, რაც ნიშნავს რომ მათშორის წრფივი დამოკიდებულებაა.

ზოგადად კორელაციის რეზულტატები არის -1 დან 1 მდე. -1 ნიშნავს რომ უკუდამოკიდებულია და 1 პირდაპირ დამოკიდებული. მაგალითად 1, 2, 3 და 6, 4, 2 – ის კორელაცია იქნება -1, ხოლო 1, 2, 3 და 2, 4, 6 –ის 1.

კორელაციის მეშვეობით შეიძლება დადგინდეს რამდენად არის მონაცემები ერთმანეთზე დამოკიდებული.

ბოლო დავალების Moving Average

ესეც კეთდება Data Analysis-ის მენიუს მეშვეობით აირჩიეთ იქ Moving Average და გამოვა შემდეგი ფანჯარა, თუ მონიშნავთ ქვემოთ Chart Output და Standard Errors, გააკეთებს დიაგრამას და გიჩვენებთ შესაბამის ცდომილებებს

